



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030444773153816

№ 04-406/ო

27 / ივლისი / 2016 წ.

„C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ „C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის“ კომპონენტის მიმწოდებელთა რეგისტრაციის განაცხადის ფორმის და რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 23 აპრილის № 04-119/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის N272 დადგენილების პირველი მუხლის პირველი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით, „C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის“ კომპონენტით (შემდგომში-კომპონენტი) გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა რეგისტრაციის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 63-ე მუხლებისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის“ „C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის“ კომპონენტის მიმწოდებელთა რეგისტრაციის განაცხადის ფორმის და რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს 2015 წლის 23 აპრილის № 04-119/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „დიაგნოსტიკის კომპონენტის“ მიმწოდებელთა რეგისტრაციის განაცხადის ფორმის და რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“;

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს:

ა) „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „დიაგნოსტიკის კომპონენტით“ გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის თაობაზე განაცხადის“ ფორმა (დანართი N1; შემდგომში ბრძანებასა და მის დანართებში - „განაცხადი“);

ბ) „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის „დიაგნოსტიკის კომპონენტით“ გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის განაცხადის ფორმის შევსებისა და წარდგენის წესი“ (დანართი N2;


შემდგომში–„წესი“);

გ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით დამტკიცებული N1 და N2 დანართები შეიცვალოს ამ ბრძანებაზე თანდართული იგივე ნომრის მქონე დანართებით (დანართი N1, დანართი N2).

2. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე